

ვისანა აბულაძე

არზრუმის ვილნაეთის 1592 წლის კანუნ-ნამე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმოსავლურ (ე. წ. მუსლიმურ) ხელნაწერთა ფონდში, თურქული ხელნაწერების ადგილობრივ კოლექციაში დაცულია კრებული Tur. L. № 72 (313), რომელიც შეიცავს სამოქალაქო სამართლის წესებს და სტამბოლელ მოხელეთა (შეედგლი. მეწაღე. მეტყაფე, ოქრომჭედელი და ა. შ.) საქონელბრუნვის დავთარს. წიგნი მეცხრამეტე საუკუნისაა, დაწერილია შიქასთასებური გაკრული ნახხით, სხვადასხვა ფერის (ყვითელი, ვარდისფერი, ლურჯი, მწვანე) თხელ ფურცლებზე. ამ ხელნაწერის აღწერისას ჩვენი ყურადღება მიიქცია კვირნიშნიან. სქელ, თეთრ მკვრივ ქალაღზე ნახდენილი ნახხით ნაწერმა ტექსტმა, რომელიც სხვა ფურცლებთან ერთად ჩადებული იყო წიგნის ყდასა და თავფურცელს შორის. ეს ბოლინაკლული ტექსტი არზრუმის ვილნაეთის კანუნ-ნამე აღმოჩნდა. ფურცელთა რაოდენობა: 8 ფურცელი. ზომა 20,5×11,7; 23 სტრ. 15,5×6,5; ტექსტი ჩასმულია მწვანე ხაზების ჩარჩოში. მელანი. საერთოდ, მუქი შავი. სათაური. თავები (ص), ცალკეული თავების დასაწყისები და ხაზგასასმელი სიტყვები დაწერილია წითელი მელნით. პაგინაციის მაგივრობას ეწევა კუსტოსები—ზომდევნო recto-ს პირველი სიტყვა წინა verso-ს ქვედა აშიაზე მარცხნივ. ხელნაწერის გადამწერის ვინაობა და გადაწერის თარიღი უცნობია. ტექსტი დაყოფილია თავებად. როგორც უკვე შევნიშნეთ, ცალკეული თავის დასაწყისი დაწერილია წითელი მელნით და უწერია თავის აღმნიშვნელი არაბული სიტყვა ص. მაგრამ თავებად დაყოფის ეს ნიშნები თანმიმდევრული არ არის და ყოველთვის არ მიყვება შინაარსს. ჩვენ ამოსავლად ავიღეთ, ერთი მხრივ, ტექსტის შინაარსი, მეორე მხრივ, არზრუმის ვილნაეთის კანუნ-ნამეს ბარკანისეული¹ გამოცემა, და ტექსტი, ადვილად წაკითხვისა თუ გაგების მიზნით. დაეყავით თავებად და დავნომრეთ.

¹ სტამბოლის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტმა 1943 წელს გამოსცა პროფ. თმარ ლუთფი ბარკანის შრომა—„ოსმალეთის იმპერიის აგრარული ეკონომიკის უფლებრივი და ფინანსური საფუძვლები XV—XVI საუკუნეებში“ (Ö. L. Barkan, XV ve XVI-inci asırlarda Osmanlı İmparatorluğunda ziraî ekonominin hukukî ve malî esasları. Birinci cilt: Kanunlar, İstanbul, 1945). წიგნი იწყება ავტორის ვრცელი გამოკვლევით შუა საუკუნეების თურქული კანონმდებლობის შესწავლისა და ძირითადი პრინციპების შესახებ. შემდეგ ლათინური (ახალი თურქული) შრიფტით დაბეჭდილია ოსმალეთის იმპერიის ვილნაეთის სააღრიცხვო დავთრებზე წამძღვარებული კანონთა წიგნები; სულ 211 კანუნ-ნამე. ბოლოში კი საძიებლებთან ერთად დართულია ფაქსიმილები.

ჩვენამდე მოღწეულია არზრუმის ვილაჟეთის კანუნ-ნამეს სხვადასხვა დროს შედგენილი რამდენიმე ნუსხა და რედაქცია. გარდა ამისა აღმოსავლეთ კარაჰისარის ლივის კანონებიც ზუსტად იმეორებენ არზრუმის ვილაჟეთის კანონებს. ო. ბარკანს არზრუმის ვილაჟეთის კანუნ-ნამე დაბეჭდილი აქვს პრემიერ-მინისტრის სამმართველოსთან არსებული სტამბოლის არქივში დაცული № 700 ხელნაწერის მიხედვით. რომელიც შედგენილია ჰიჯრით 947 წ. (1540 წ.) და ტექსტის სისრულისათვის ზოგიერთი მუხლი მოტანილი აქვს სხვადასხვა ხელნაწერებიდან. კერძოდ, შენიშვნები აღებული აქვს ჰიჯრით 926 წლის ხელნაწერიდან, მუხლები № 52 და № 53 მთლიანად და № 10 მუხლის კავებში მოტანილი ნაწილი ჰიჯ. 1000 წელს შედგენილი კანუნ-ნამედან, ხოლო № 54 მუხლი—კარაჰისარის კანუნ-ნამედან.

ჩვენ განზრახული გვქონდა Tur. L. № 72-ის პარალელურად ო. ბარკანის მიერ გამოცემული ტექსტის გამოკვეყნებაც, მაგრამ ეს ტექნიკური მიზეზების გამო არ მოხერხდა. ამიტომ ქვემოთ ვათავსებთ მხოლოდ ჩვენს ინსტიტუტში დაცული ხელნაწერის ტექსტს და მის ქართულ თარგმანს.

მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ჩვენი ტექსტი ბოლონაკლულია და არ ვიცით სრული სახით რა შინაარსის რამდენ მუხლს შეიცავდა, ბარკანის მიერ გამოცემულ ტექსტთან მიმართებით მაინც შეიძლება შევნიშნოთ შემდეგი: აშკარა ფრაზეოლოგიური და ლექსიკური სხვაობების გარდა, ბარკანისეული ტექსტის რიგი მუხლები არ არის Tur. L. № 72-ში და პირიქით, Tur. L. № 72-ის ზოგი მუხლი არ არის ბარკანისეულში. სახელდობრ, მუხლები, რომლებიც ეხება სხვადასხვა ბიდაჟათების აკრძალვას (მუხ. 25, 43 იხ. ო. L. Baskan. დას. შრომა, გვ. 67, 70), იალალისა და ფარების გამოსაღებს (მუხ. 27, 31 იქვე, გვ. 67, 68), სარწყავი არხებით სარგებლობას (მუხ. № 42; იქვე გვ. 70), ფუტკარზე გადასახადის აღების ვადის განსაზღვრას (მუხლი № 34. იქვე გვ. 68). არზრუმის ვილაჟეთის კანონთა წიგნის ჩვენს ინსტიტუტში დაცულ ტექსტში არ არის. ხოლო ჩვენი ხელნაწერის (Tur. L. 72-ის) რვა მუხლი არ არის ბარკანისეულ გამოცემაში. ეს მუხლები ძირითადად ეხება სამოქალაქო ცხოვრების წესებს: აქ განსაზღვრულია სხვადასხვა საქონლის ყიდვა-გაყიდვაზე თამლა (მუხლი № 32, 38. 39) და მუჭთვისების მოვალეობა (№ 36), დადგენილია ფასები ხველ ხილზე, მარცვლეულზე, თაფლზე, ერბოზე და ხორცზე (№ 4). ზიმმეებისათვის განსაზღვრულაა გადასახადი ღვინოზე (№ 43). ჩვენი ხელნაწერი და პრემიერ-მინისტრის სამმართველოს სტამბოლის არქივის № 700 ხელნაწერი ორი სხვადასხვა რედაქცია ჩანს. ამავე დროს აღნიშნული მუხლობრივი სხვაობები არ შეიძლება გადაშწერთა თვითნებობად მივიჩნიოთ. იგი გამოწვეულია იმ ისტორიული და სოციალურ-ეკონომიური ცვლილებებით, რომელიც 53 წლის მანძილზე განიცადა საერთოდ ოსმალეთის იმპერიამ და კერძოდ, არზრუმის ვილაჟეთმა (ჩვენი ხელნაწერი შედგენილია ჰიჯრით 1000 წლის = 1592 წ. მესამე თვის დასაწყისში, ო. ბარკანის მიერ გამოცემული ტექსტი კი ჰიჯრ. 947 წ. = 1540 წ.). Tur. L. № 72 ხელნაწერთან დაცული არზრუმის ვილაჟეთის კანუნ-ნამე უნდა წარმოადგენდეს თავუშა და კადასტრის საერთო სამმართველოს № 41 ხელნაწერის ნუსხას:—1. როგორც უკვე აღვნიშნეთ მუხლები № 52 და № 53 მთლიანად და № 10-ის კავებში მოტანილი ნაწილი პროფესორ ო. ბარკანს აღებული აქვს კადასტრის სამმართველოს № 41 ხელნაწერიდან. რადგანაც ჩვენი ტექსტი სწორედ № 52--53 მუხლების შემცველ ტექსტზე წყდება, შესადა-

რებლად დაგვრჩა მხოლოდ მეათე მუხლი. ამ მცირე მონაკვეთის შედარებისას კი აღმოჩნდა ზედმიწევნითი იგივეობა. 2. შედგენის თარიღი ორივესთვის საერთოა—ჰიჯრით 1000 წელი.

* * *

საბჭოურ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში² არა ერთხელ არის ხაზგასმით აღნიშნული, რომ თურქული კანუნ-ნამეები საუკეთესო წყაროა თურქეთისა და თურქეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური ვითარების გასარკვევად, აგრარული და საგადასახადო სისტემის დასადგენად, ოსმალური ფეოდალიზმის და ჩვენ შემთხვევაში, ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლისათვის. ჩვენი ტექსტი გასათვალისწინებელია ყარაიაზიჯი დელი ჰასანის აჯანყების (1599—1602 წ.) წარმომშობი სოციალურ-ეკონომიური მიზეზების გასარკვევად. ცნობილია, რომ ყარაიაზიჯის აჯანყებას უშუალოდ წინ უსწრებდა არზრუმში 1592 წლის მარტში იანიჩართა გამოსვლა და მოსახლეობის შეტაკება სამხედრო ძენებთან³.

არზრუმის ვილაჰეთის კანუნ-ნამე ანატოლიის პროვინციების კანუნ-ნამეების ტიპიური ნიმუშია. აქ ისეთივე კანონებია გათვალისწინებული მიწის მფლობელობისა და სარგებლობის, მიწის გადაცემისა და განაწილების, სხვადასხვა გადასახადებისა (ჩიფთის, წისქვილის, სკის, ფარების, საქორწინო და ა. შ.) და ჯარიმების გაღების შესახებ. როგორც გურჯისტანის ვილაჰეთის, ხუდავენდგარის, აიდინის, ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და სხვა პროვინციების კანუნ-ნამეებშია. ცნობილია, რომ თურქეთში დაპყრობილი პროვინციებისათვის პრინციპში მოქმედებდა ერთი კანონი, ხოლო ის მცირე განსხვავება, რაც ცალკეული ოლქების კანონებში შეინიშნება, შეპირობებულია მოცემული პროვინციის ისტორიული და გეოგრაფიული თავისებურებებით, ადგილობრივი ცხოვრებას პირობებითა და წესებით. როგორც პროფ. ს. ჯიქია აღნიშნავს, გურჯისტანის ვილაჰეთის კანუნ-ნამე — „содержит извлечение из действовавшего в то время турецкого свода законов с дополнениями, учитывающими местные условия“ (ხაზგასმა ჩვენი, ც. ა.).

არზრუმი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მუდამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა წინააზიის ხალხთა ცხოვრებაში. ანის-არზრუმის და ტრაბიზონ-თაერიზის დიდი სავაჭრო და სატრანზიტო გზა აერთებდა წინა აზიის ყველა ქვეყანას ევროპასთან. ჩვენი წარსულის თითქმის ყოველ ფურცელზე ვხვდებით კარნუ-ქალაქს, თეოდოსიოპოლსა და არზრუმს (არზრუმი სელჯუკებმა

² ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958; И. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI начале XIX вв. А. С. Тверитинова, Законоположения о провинциях османской империи в XV—XVI вв. КСИВ, № 26, стр. 92—108; ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაჰეთის დიდი დავთარი, წიგნი 1, 2 და 3, თბილისი, 1941, 1947, 1958 წელი და სხვა.

³ А. С. Тверитинова, Восстание Кара Языджи—Дели Хасана в Турции, Москва—Ленинград, 1946.

⁴ ს. ჯიქია, დასახელებული შრომა, წიგნი II, 1941, გვ. XIV.

უწოდეს მას XI საუკუნეში⁶). არზრუმი საუკუნეთა წინაძილზე ან საქართველოს საზღვრებში იყო ან ქართველთა მეფის ყმადნაფიც-მოხარკე საამიროს წარმოდგენდა⁷.

არზრუმის ვილნაეთის კანონთა წიგნში ბევრი მუხლი სპეციალურად გულისხმობს არა მუსლიმ, ქრისტიან მოსახლეობას: „ქაფირებს“ და „ზიმშირებს“, რომლებიც იხდიან გადასახადს „ხარაჯას“, „ჯიზიას“, „ისფენჯს“ და „უყვართ ღვინო“.

პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულებიდან კანუნ-ნამეში დასახელებულია ვილნაეთი || ვაღლეტი, სანჯაყი || ლივა⁸, ნაპიფე, ქალაქი და ქარაფე. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა, მეცხვარეობა და ვაჭრობა. მთელი მიწა დაყოფილია ჭაკუფებად და სახასოებად, ზეცამეთებად და თინარეზად, ჩიფთლიქებად და ნახეგარ ჩიფთლიქებად. მიწას ფლობს პრივილეგიური ფენა-ზაცნმები, თინარის პატრონები და სიფნარები. მიწას ამუშავებს და გადასახადს იხდის დაბალი ფენის ხალხი—რეცაა და ჯაბა-ბენნაქები. კანუნ-ნამეში რელიგიურად არის წიკემული ოსმალური ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმები (რომლის შესახებ ვრცლად ვაღმოგვცემს პროფ. ვ. გაბაშვილი გურჯისტანის ვილნაეთის დიდი დავთრის განხილვისას)⁹. მოსახლეობა იხდის გადასახადს: ჯიზიას, ხარაჯას, ისფენჯს, ყუშურს, ბეპრეს, სულარიფს და გამოსაღებს სრული და ნახეგარი ჩიფთლისას, დონუმისას, ჯაბაბენნაქისას, წისქვილისას, ყიზლაღისა და ნალაღისას, ფარეხისას, სეკორწინოსა და სადარაჯოსას. დადგენილია თამლა და ბაეი საქონლის ყიდვა-გაყიდვაზე, სასჯელი და საურავი სინხლის სამართლის დანაშაულობებზე.

არზრუმის ვილნაეთში ადმინისტრაციულ-სასამართლო, სამეურნეო და სასულეო მოვალეობებს ასრულებს: ბეგლარბეგი, მირლივა¹⁰, სანჯაყ-ბეგი, სუბაში, ქეთხუდ, სალარ, ყაღღ და იმამი.

გეოგრაფიული რაიონებიდან კანუნ-ნამეში დასახელებულია ერზინჯანი, ბაიბურთი, (+ დიარბექირი და ბასიანი B).

როგორც ჩვენთან დაცული ტექსტიდან ჩანს, არზრუმის ვილნაეთი აუწერია და მისთვის კანონები შეუდგენია ჰიჯრიდ 1000 წ. ჰუსეინ ალას (იხ. სათაური „არზრუმის ვილნაეთის კანუნ-ნამე, შედგენილი განსვენებული ჰუსეინ ალას დროს არზრუმის შეყმეთებისა და თინარებისათვის“).

ჰუსეინ ალას ვინაობის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის محمد ترا თავის ცნობილ سجل عثمانی-ში. ჰუსეინ ალა ზაალ მუჰამედ ფაშას ქათიბი ყოფილა, 1000 წლდს რებეწყულ-ახირში არზრუმის დავთარდარად

⁶ არზრუმი < არაბ. أرض 'მიწა'; როგორც უწოდებდნენ მეტრე აზაასა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის თურქ-სელჯუკები. აქედან რუმის სასულტნო და „არზრუმი“ რუმის მიწა. შდრ. გ. წერეთელი. არაბულ-ქარაუღი ლექსიკონი, თბილისი, 1951, გვ. 12

الروم أرض—რომელთა ქვეყანა აქედან დღევანდელი არზრუმი.

⁷ ნ. ბერძენი შვილი, ვ. დონდუა, მ. დუშბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია, წიგნი, I, თბილისი, 1958, გვ. 204.

⁸ ვ. გაბაშვილი, დასაბ. შრომა, გვ. 326—344.

დაუნიშნავთ. 1003 წელს კი სიფაჰების ალა გამხდარა, შემდეგ გარდაცვლილა¹.

მოუხედავად იმისა, რომ მოტანილი ცნობა ჩვენ ტექსტს ზედმიწევნით არ ემთხვევა თეზე მითითებაში (Tur. J. № 72-ის მიხედვით არზრუმის ვილნაეთი აღწერა ჭუსეინ აღამ 1000 წლის რებიუ-ულ ევეელ ში, ს. محمد-ს თანახმად კი ჭუსეინ ალა არზრუმის დავთარ-დარად დაუნიშნავთ 1000 წლის რებიუ-ულ ახირში). სავარაუდოა, რომ აქ საქმე გვაქვს ერთსა და იმავე პიროვნებასთან².

რამდენიმე შენიშვნა ტექსტის გრაფიკული თავისებურების შესახებ.

1. ასოებს ط, ك და ل შუატანზე მარჯვნივ უზის წერტილი الحط الك ل-ისა და ا. შ. შენიშნულ ფაქტს ჯერჯერობით ახსნას ვერ ვუძებნით.

2. ცნობილია რომ არაბული ასოები სხვადასხვაგვარად იწერება იმისდა მიხედვით სიტყვის თავნია, "სააში თუ ბოლოში. არსებობს ასეთა გადაბმის განსახდერული წესი—ასოთა უმრავლესობა ორმხრივ გადაიბმის, მცირე ნაწილი კი მხოლოდ მარჯვნიდან. ჩვენი ტექსტის დამწერი ამ წესს თანმიმდევრულად არ იცავს და წერს ان سلطانى ნაცვლად ان سلطانى-ისა. ان-ისა.

3. არაბულში თუ ორი ერთნაირი ასო მოხვდა ერთიგვარის გვერდით იწერება ერთი ასო და თავზე ეწერება გაორმაგებას ნიშანი ؤ. თეშლიდი. ჩვენი ტექსტის ოდენ თურქულ სიტყვებთან კი ორივე ასო წერია და ერთ-ერთს თავზე უზის თეშლიდი, მაგ. اوغلى, آلى.

4. სპარსული ქესრა (ე) ისაფეთი გამოსატულია و-ით. წერია قديم و قديم (ანონი ძველი) ნაცვლად მოსალოდნელი قديم-ისა.

ენობრივი მოვლენებიდან არაფერი შეინიშნა ისეთი, რომ მხოლოდ ამ ტექსტისათვის იყოს დამახასიათებელი. აქ ისეთივე ფონეტიკური და გრაფიკული ფორმებია დადასტურებული, რაც საერთოდ ნიშანდობლივია ამ ხანის თურქულენოვანი ძეგლებისათვის³.

არზრუმის ვილნაეთის კანონ-ნაშეს აქ გამოქვეყნებული ტექსტი, ვფიქრობ, არ იქნება ინტერესს მოკლებული თურქეთის ისტორიის საკითხებზე მომუშავეთათვის. იგი ასევე საინტერესო უნდა იყოს ქართველი და განსაკუთრებით,

„حسين اغا زال محمد پاشا كاتبي اولمشدر صكره سردار ياتنده نزل امينى ۱۰۰۰ زييع الاخرنده از ضروم دفتردارى نصب ايدلى ۱۰۰۳ ده سپاهيلر اغاسى اولوب محمد ثريا سجل عثمانى. II. გვ. 184. بعد فوت اولدى“.

¹ ცხადია, რომ ხელნაწერი გადაწერილია ჰიჯრით 1003 წლის (— 1595 წ) შესდგე, რადგანაც ჩვენი ტექსტის გადაწერისას ჭუსეინ ალა ცოცხალი აღარ არის (არზრუმის ვილნაეთის კანონ-ნაშე. შედგენილია განხვენებული ჭუსეინ აღამ დროს...). ჭუსეინ ალა კი سجل عثمانى-ის მიხედვით გარდაიცვალა ჰიჯრით 1003 წ. = 1595 წ.

² მხედველობაში მაქვს: H. Vambery, Alt-Osmanischen Sprachstudien miteiner aserbajdzanischen texte als appendix. Leiden, 1901 წ; W Radloff Über alttürkische Dialekte Die seldschukischen Verse im Rebab-Nameh; H. Duda, Die Sprache der Qyryz ± Vezir Erzählungen, Leipzig, 1930 წ. და სხვ.

სომეხი ისტორიკოსებისათვის, რამეთუ არზრუმის ვილნაეთის მოსახლეობის ძირითად მასას იმ დროს სომეხები შეადგენდნენ.

هذا رساله قانون نامه ايلت ارضوم بزمان
تحرير حسين اغا المرحوم كه بتحرير زعامت
تارهای ارضوم

صمالك محروسه دن ولايت ارضومده
لوآء ارضومك تحرير و توزيعين بو بندهء
كمترين حسين چاگرد بر بنه لر نه (sic!)
تفويض و تعيين بيوروب امتثالاً لاجر العالي
بناية الملك المتعالى بو عبد ضعيف و بندهء
مخيف دخى لوآء مزبورك تحرير و توزيعه
مباشرت ايدوب قوه مقدوره و قدرة مبسوره
احتواسنجه قانون قديم و عدل قويم اوزره
طرف استقامت و اماتى مرعى و جانب حق
و ديانتى محمى طتوب توزيع و قسيم امرنى
تتميم اولندى و الاخر على الله الغالب
و هويسر القاصد و المطالب تحريراً فى
اوآيل شهر ربيع الاول من شهر سنه الف
من هجرة النبويه عليه افضل التحية

არზრუმის ვილნაეთის კანონ-ნაშე,
შედგენილი განსვენებული ჰუსეინ
აღა მარხომის ზეცხმეთებისა¹
და თინჯარებისათვის²

ღვთივდაცულ ქვეყნიბიდან³ არზრუმის ვილნაეთში, არზრუმის ლივის⁴ აღწერა და დაყოფა მიენდო და ებრძანა ულირსს მონას ჰუსეინს. მორჩილებად კეთილშობილი საქმისა, მაღალი მეუფის შეწყვენით ეს უძღური მონა ხსენებული ლჳის აღწერა-განაწილებას შეუდგა ძალისა და ღონის შესაბამისად, ძველი კანონისა და მტკიცე წესების მიხედვით, ქვეყანა ჰეშმარიტ გზაზე დააყენა. ჩაბარებული სამწყსო და მხარე ღმერთისა და სარწმუნოების ქვეშ მოაქცია და დანაწილება-გაყოფის საქმე (ბრძანება) დასრულდა. საქმე ალაპის მეშვეობითაა დაგვირგვინებული, მისგანაა წარმატება (= შესრულება) მოთხოვნილებებისა და სურვილებისა. დაიწერა რებნყულ ევეელის დასაწყისში, 1000 წელს წინასწარმეტყველის ჰიჯრიდან.

¹ ზეცხმეთი < არაბ. زعامة — დიდი მამული: მსხვილი სამხედრო ფეოდალური საკარგავი, რომლის წლიური შემოსავალი 20.000 დან 100.000-მდე ახას აღწევდა.

² თინჯარი < სპ. تیمار — ნაწყალობევი მიწის მცირე ერთეული: სამხედრო საკარგავი, რომლის წლიური შემოსავალი ოსმალეთის ევროპულ ნაწილში 3.000 ახას უდრიდა; აზიურში კი 2.000 ვრკლად ზეცხმეთისა და თინჯარის შესახებ იხ. ე. გ. აბაშვილი: დასახ. შრომა, გვ. 185—188.

³ ხელნაწერში ტექსტი იწყება სპარსულ-არაბულისათვის დამახასიათებელი რითმოვანი პროზით დაწერილი ეპითეტებითა და ჰიპერბოლებით. ჩვენ საქიროდ აღარ მივიჩნიეთ ამ ნაწილის გამოქვეყნება. მით უფრო, რომ პროფ. ო. ბარკანის დასახელებულ შრომაში კანონ-ნაშეთა ასეთი შესავალი ნაწილები მხოლოდ ფაქსიმილულების სახითაა წარმოდგენილი. ავტორი აქვეყნებს კანონ-ნაშეთა მხოლოდ კანონიკურ ნაწილს.

⁴ სიტყვასიტყვით ნიშნავს, დაცულ, ღვთივდაცულ ქვეყნებს. ასე იწოდება ოსმალეთის იმპერია რიგ წყაროში. შდრ. პროფ. ს. ჯიქია, ხონთქრის მიერ დიდი მოუზავისადმი გაცემული სიგელი, გვ. 237. დაბეჭდილია ენიშკის მოამბე ტ. XIII, გვ. 233—242.

⁵ ლივა < არაბ. لواء — 'სადროშო', სამხედრო ფეოდალური დაყოფის ადმინისტრაციული ერთეული.

⁶ ხელნაწერშია تخریو.

اغاز کردن قآنون رسم چفت اوزرینه
 تمام چفتك قيد اولنان رعیتدن⁹ الی اچه
 و نیم چفتكدن یكرمی بش اچه و بر
 مقدار تصرف ایدن اكنلو بناكدن اون
 سكر اچه و جبه قيد اولان كمنه لردن
 قانون قدیم اوزره اون ایکی اچه النور¹²

[თავი] კანონის დასაწყისი. დაე-
 თარში მთელი ჩიფთლიქის⁷ მფლო-
 ბელად რეგისტრირებულ რაყიფეთი-
 დან⁸ ჩიფთის გამოსადები 50
 ახჩა¹⁰ უნდა აიღონ, ნახევარი ჩიფთ-
 ლიქის მფლობელისაგან 25 ახჩა, მცი-
 რე მიწის მფლობელი ექინლი ბე-
 ნაქიდან¹¹ 18 ახჩა. ჯაბად რე-
 გისტრირებულთაგან ძველი კანონის
 თანახმად აიღებენ 12 ახჩას.

و دفتر خاقانیده چفت ویا نیم بناك قيد
 اولان رعایادن بری فوت اولوب بر قاچ
 اوغلری قالسه بری مجردینه قيد¹³
 اولنوب و اولولری جبه قيد اولنوب و رسم

[თავი]. უკეთუ სამეფო დავთარში ჩიფთის
 ან ნახევარ ჩიფთის, ან ბენნაქის მფლო-
 ბელად რეგისტრირებული რეგნაჲდან
 ერთ-ერთი მოკვდება და მას დარჩება
 რამდენიმე შვილი, მათგან მიწა უცო-
 ლოზე დაიწერება, ცოლშვილიანი კი

⁷ ჩიფთი — სპ.

ჩიფთი — 'წყვილი', 'უღელი'. ჩიფთლიქი — მიწის ის ნაკვეთი, რომლის დასამუშავებლად საჭიროა ერთი უღელი ხარ-კამეჩი. მაგრამ თურქულ წყაროებში იხმარება სხვადასხვა, სრულიად განსხვავებული ნიშნულბებით. უკანასკნელ ხანებში სპეციალური სამიწათმოქმედო ტერმინი გახდა. ჩიფთლიქის ოდნობა დამოკიდებული იყო მიწის ხარისხზე, ერთ ჩიფთლიქს შეაჯგუნდა საუკეთესო მიწების 60—80 დონუმი, საშუალო მიწების 80—100 დონუმი და ცუდი. ან ბიწი მიწების 100—150 დონუმი. ვრცლად ჩიფთისა და ჩიფთლიქის შესახებ იხ. *Islam ansiklopedisi*, ტ. III, 1945, სტამბოლი, გვ. 392—97.

⁸ რაყიფეთი || რეგნაჲ < არაბ. رعیة მრ. رعیة — 'ჯოგი', 'სამწყსო', 'ქვეშევრდობი', 'მოსახლეობა'. ტერმინის რაყიფეთი || რეგნაჲს შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვაობაა: ი. პეტრუშევესკი დასახელებულ შრომაში წერს—„В Турции получило специальное терминологическое значение платящих „джизью“, „немусульманских поданных“, „христиан“ или „евреев“. ვ. გაბაშვილის მიხედვით, (იხ. დასახელ. ნაშრომი) რაყიფეთები ეწოდებოდათ როგორც ქრისტიან. იყ მუსლიმან გლეხებს რაყიფეთი საერთოდ ნიშნავდა გლეხა, მიწის მოქმედს. გადასახადების გადამხდელს. რაყიფეთი || რეგნაჲს საკითხზე სპეციალურად ჩერდება ა. ტვერიტინოვა შრომაში „К вопросу о крестьянском землепользовании“: Ученые записи института Востоковедения, ტ. XVII, მოსკოვი. 1959, გვ. 15—20.

⁹ ხელნაწერში الی

¹⁰ ახჩა აچه ვერცხლის წვრილი მონეტა, რომლის ღირებულება დროთა განმავლობაში იცვლებოდა.

¹¹ ბენნაქი بناك — ცოლშვილიანი გლეხი, რომელიც ფლობს ნახევარ ჩიფთზე ნაკლებ მიწას. ბენნაქი რომელიც თათუს საფუძველზე ამუშავებს 4—10 დონუმიდან 24—60 დონუზამდე მიწას, იწოდება ექინლი (=მთესველი) ბენნაქად. ბენნაქი, რომელსაც მიწა სავსებით არა აქვს (cifti ve hic yeri olmayı) და სიფაჲრიდან მიწას დასამუშავებლად თათუს გარეშე იღებს, რისთვისაც იხდის დონუმის გამოსალბს—იწოდება ჯაბა ბენნაქად. დაწერილებით ბენნაქის შესახებ იხ. H. Jualcık, *Osmanlılar'da raiyyet rüsumu: Türk tarih kurumu Belleten* ტ. XXIII, 1959 ანკარა, გვ. 589—592.

¹² ხელნაწერში قانونو قدیم.

¹³ ხელნაწერში اوغلری.

جبه ايله یری دخی بر کدورب بقدر
 حصصهم رسولرین ادا ایدوب یری مشترک
 تصرف ایدولر زیرا جبه بناکک رعیتی
 انا برندن منع ایلمز فی الحقیقه ملک
 موزوشی کییدر

ჯაბად რეგისტრირდება. მიწისა და
 ჯაბას გამოსაღები შეერთდება და წი-
 ლის მიხედვით გადახდებათ. მიწა კი
 საერთო მფლობელობაში იქნება. არ
 შეიძლება ჯაბას უარი ეთქვას რაფი-
 ძეთი მამის მიწაზე, რადგანაც სინამ-
 დვილეში [მიწა] ისევეა, როგორც
 სამკვიდრო მამული.

[3 თავი.] უკეთუ რაფიძეთი გარდაიცვლება
 და მას დარჩება მცირეწლოვანი შვი-
 ლი და ჩიტულიქი, არ შეიძლება
 სიფჰჰმ¹⁴ ჩიტვის გამოსაღები ბავშვს
 მოთხოვოს იმ მიზეზით, რომ ჩიტუ-
 ლიქი მამამისისა არის. სანამ მცირე
 წლოვანი გაიზრდება, მიწას სხვას
 მიაბარებენ. ხოლო, როცა ობოლი
 დავაჟკაცდება, ისე რომ მიწის დამუ-
 შავებას შეძლებს, თუ მამის ნიერ და-
 ტოვებულ და სხვისთვის მიბარებულ
 მიწას შოითხოვს—ჩაბარდება და [ამის-
 თვის] სიფჰჰნ მისგან თაფჰს¹⁵ ვერ
 აიღებს.

[4 თავი.] უკეთუ რაფიძეთი გარდა-
 იცვლება და [მას] დარჩება შვი-
 ლები, რომელთაც მიწა საერთო
 მფლობელობაში აქვთ (№ 2 თავში
 მოცემული წესის თანახმად. ც. ა.) და
 თუ მათგან ერთ-ერთი მოკვდება, რო-
 მელსაც დარჩება შვილი, მამის წილი
 გადაეცემა შვილს. ხოლო უკეთუ შვი-
 ლი არ დარჩება. მასს მიწა არ გა-
 დაეცემა მმას. ასეთ შემთხვევაში გარ-

14 ხელნაწერშია اناک.
 15 სიფჰჰნ — ს. ს. — სახედრო ღენის, თიზაჰის ან ხუჯამეთის მფლობელი
 ფელდალი, რომელსაც ევალებოდა ომში გამოეყენა განსახლეული რაოდენობის შეიარაღე-
 ბული ცხენოანები
 16 თაფჰს — მიწის გამოსაღები, რომელსაც გლეხი უზადის ფელდალს მიწის ნაღვლის
 მიღებისას, როცა იგი ნაღვლის წინანდელი მფლობელის უშუალო მეკვიდრე არ არის

¹⁴ ხელნაწერშია اناک.

¹⁵ სიფჰჰნ — ს. ს. — სახედრო ღენის, თიზაჰის ან ხუჯამეთის მფლობელი
 ფელდალი, რომელსაც ევალებოდა ომში გამოეყენა განსახლეული რაოდენობის შეიარაღე-
 ბული ცხენოანები

¹⁶ თაფჰს — მიწის გამოსაღები, რომელსაც გლეხი უზადის ფელდალს მიწის ნაღვლის
 მიღებისას, როცა იგი ნაღვლის წინანდელი მფლობელის უშუალო მეკვიდრე არ არის

¹⁷ ხელნაწერშია اوغلری.

¹⁸ ხელნაწერში შეცდომაა — مشار مشترك.

اگر ابل ويردوکی آفجه قرنداشی ويرر
 ايسه ينه قزنداشرينه ويريله و سباهي دخي
 قرنداشك حصّسني كيرو قرنداسنه ويرمكده
 اهل خرد معرفتيله حقّ قرارين اله مواضمه
 ايله زياده نسنه الهيه مكر كه قرنداشی
 رعيتك ايلميه اول وقتيه صاحب تيمار
 اهل قريه دن طالب اولنه ويره

დაცვლილის წილი მიეცემა გარეშეს [მაგრამ], თუ წლიურ აზიას ძმა გადაიხდის, მიწა ისევ ძმებს მიეცემა. სიფაში კი ძმის წილის ისევ ძმაზე გადაცემის უფლების დამტკიცებისათვის [სათვასურს] იღებს კანონიერი გზით. მოტყუილებით ზედმეტი რამ არ უნდა აიღოს. იმ შემთხვევაში, თუ ძმა არ გახდება რაყიჯეთი, თმშარის პატრონი სოფლის მცხოვრებთაგან მისცემს [მიწას] მას, ვინც მოთხოვს.

و بر رعيت كه دفترده بتون چفت
 وياخود نيم چفت يازلمشدر اول رعيتك
 اوغلي و اوغلك اوغلي اوله اول رعيتك
 ارغلي فوت اولوب بعده كندوسى فوت
 اولوب اوغلك اوغلي قاله دده سنك برى
 اوغلي اوغله انتقال ايلمز قرنداشی برى
 قرنداشنه انتقال ايلمدوکی كبی اما حق
 قراريله طوبه الوپ اول استرکن اجنبیه
 ويرلميه

თავი 5 | უკეთეს რაყიჯეთს, რომელიც დავთარში ჩაწერილია მთელი ან ნახევარი ჩიფთის მფლობელად და ყავს შვილი და შვილიშვილი¹⁹, მოუქვდა შვილი, შემდეგ თვითონაც გარდაიცვალა და [მამასადამე], დარჩა შვილიშვილი—შვილიშვილს პაპის მიწა არ გადაეცემა. ისევე როგორც ძმის მიწა არ გადაეცემა ძმას. მაგრამ [მფლობელი] უფლების დამტკიცებისათვის თათუს ვერ აიღებს და რომ უნდოდეს ვერ გადასცემს სხვას.

و كفره طایفه سنك دخي يرلری اتالرن دن
 انتقال ايدوب بروجه اشتراك متصرف اولمقدمه
 و ایتامی²¹ ذراعته قادر اولوب بيونجه اتالری
 برى امامته ويرلمكده و قرنداش برى
 قرنداشنه و دده برى اوغلي اوغله انتقال
 ایتمه مكده كندلك

თავი 6 | უკეთეს ქაფიროების²⁰ ხალხსაც მამისაგან ზემოვედრებით მიღებული მიწა საერთო მფლობელობაში აქვს, ვიდრე ობლები დაიზრდებიან, იმდენად რომ მიწის დამუშავებას შეძლებენ — მამისეულ მიწას სხვას მიაბარებენ. ამგვარადვე ძმის მიწა არ გადაეცემა ძმას და პაპისა შვილიშვილს.

¹⁹ ტექსტში აქ და შეუღლებაც *اوغلي اوغلك* სწორია, რაც ნიშნავს ძმს ძმს და არა საერთოდ შვილიშვილის. შდრ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი II. გვ. 1.

²⁰ ქაფიროი — არაბ. *كافر* 'უმგებრო', 'ურჯულა', 'ურწმუნა'. მუსლიმთათვის ყველა არა მუსლიმი ქაფიროია, გიჟური.

²¹ ხელნაწერშია *ذراعته*.

خارجین [7 თავი] ხსენებული ლივის ქაფირები ხარჯის²² გარდა ჩიფთის სანაცვლოდ თითო სულ გადამხდელზე სიფჰის უხდიან 25—25 ახჩა ისფენჯს²³. ისფენჯის გადახდის შემდეგ აღარ უნდა გაიღონ მიწებზე ჩიფთის, სანახევრო და დონუმის²⁴ გამოსაღები აღნიშნული ლივის ზოგიერთი მუსლიმი, რომელიც ვენახსა და ბაღს ფლობს და ცუშურის²⁵ გადამხდელად არის რეგისტრირებული, იხდის ცუშურებსა და სწლარიჩეებს²⁶.

عشرلری و سالاریه لرین و برلری
عشرلری مقید اولنلرک عشرین و زمینلرینک
متصرف اولدقلری باغ و باغچه لرینک
بشر اقچه اسپنجه وضع اولنمشدر ادا
ابتدکدن صکره زمینلردن رسم چفت
و رسم نیم و رسم دونیم و برمز لوآء
مزبورده بعض مسلمانلر ملکیت طریقله
ادا ابتدکدن صکره رسم چفتدن بدل
کفره سی خرآچلرین

[8 თავი.] სიფჰის ხალხი და სიფჰის შვილი, ნოქარი²⁷ და ნოქრის შვილი, რომლებიც ძველი კანონის გადაწყვეტილების თანახმად ჩიფთლიქებსა და მიწებს ფლობენ, რეგისტრირებული არიან ცუშურის გადამხდელად. ნოქარი და ნოქრის შვილი ყმასა და ყმის შვილს ჰქვია აღმოსავლელებს (იგულისხმება აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციები.—ც. ა.) შორის.

اوغلی قول دیمک اولور شرقلو بیننده
اولنمشدر و لفظ نوکر و نوکر زاده قول
زمینلری اولوب عشر و برمک اوزره قید
حجج شرعیہ قدیمی ملک چفتکلری و
نوکره و نوکر زآد اللرنده بر موجب
و بعض سپاهی طایفه سی و سپاهی زاده

²² ხარჯი < არაბ. خَرَج (თუ < ბერძნ. ἄσπις) გამოსაღები. გადასახადი მიწაზე, რომელსაც იხდიდნენ არა მუსლიმანები. იხ. გ. წერეთელი. არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1951, გვ. 62.

²³ ისფენჯი — გადასახადი, რომელიც ქრისტიან მოსახლეობას ჰქონდა დაკისრებული. ხშირად საბუთებში „ისფენჯი“ „ჯიხია“ სინონიზია. იხ. Kanuni i kanun-name za Basanski, Hercegovacki, Zvornicki, Kliscki, Crnogorski, Skadarski sangzak. ქ. სარაევო, 1957.

²⁴ დონუმი — მიწის ზომის ერთეული = 40 კვ. არშინს ე. ი. 919.3 კვ/მ. იხ. Д. А. Магазанник. Турецко русский словарь. Москва, 1945, გვ. 154. მდრ. ჩვენი ტექსტის № 15 თავთან.

²⁵ ცუშური < არაბ. عشر = მეთედი. გადასახადი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, რომლის გადახდა მხოლოდ მუსლიმებს ევალებოდათ.

²⁶ სწლარიჩეე < სპ. салар — ‘ბელადი’, ‘მეთაური’, ‘ხელმძღვანელი’. იხ. М. А. Гаффаров. Персидско-русский словарь, т. II, Москва, 1927, გვ. 437. სწლარიჩეე გადასახადი მიწათმოქმედების პროდუქტებზე დიდმოხელეთა სასარგებლოდ.

²⁷ ნოქარი < სპ. نوکر ‘მსახური’. ‘მემბარი, შეიარაღებული მსახური’. მდრ. ჩვენი ტექსტი: „ნოქარი და ნოქრის შვილი ყმასა და ყმის შვილს ჰქვია“.

²⁸ ხელნაწერში اللرنده.

9 თავი.] ქალაქში და სოფელში მცხოვრები ქაფირები, ვენახები, ბაღები და მიწები ზოგიერთმა რომ შემკვიდრებობით მიიღო და ზოგმა თვითონ შეიძინა, აღმოსავლეთის ყოფილი მმართველების საბუთების მიხედვით. შარიათის⁹ გადაწყვეტილებით და ფადიშაჰის ბრძანებით ყუშურისა და სწლარიაჟეს გადასხდელებად არიან რეგისტრირებულნი. სწლარიაჟე აიღება 1 ყუშური და 40 ქილაში 1 ქილა. ხუმსისა¹⁰ გადასხდელები სწლარიაჟეს აღარ გადაიხდიან.

10 თავი.] უკეთეს ქალი ჩაბარებულ მიწას დაუმუშავებლად არ ტოვებს, თავს ართმევს და ბეჭარესა¹¹ და გამოსაღებს იხდის, მისგან [მიწის] ჩამორთმევა კანონს ეწინააღმდეგება.

11 თავი.] განმეორებით ყუშურის ის რაჟიაჟეთი იხდის, რომელიც თავისი სიფაჰის თიმარში დასამუშავებლად ვარგის ჩიფთლიქს დატოვებს და სხვა ადგილზე დაამუშავებს. მისგან კანონის მიხედვით ორი ყუშური უნდა აიღონ. მაგრამ, თუ სიფაჰის თიმარში დასამუშავებლად ვარგისი მიწა არ არის, ან უკეთეს [რაჟიაჟეთი] სიფაჰის მამულში დასამუშავებლად ვარგისს მიწას მთლიანად დათესავს, ამის შემდეგ წავა და სხვის მიწაზედაც დათესავს, ბეჭარეს [ამ] მიწის პატრონს მისცემს.

⁹ შარიათი < არაბ. شريعة — მუსლიმთა რელიგიური წესები და კანონები, რომლითაც ხელმძღვანელობს უმაღლესი რელიგიური სასამართლო.

¹⁰ ხუმსი < არაბ. خمس — მეხუთედი.
¹¹ ბეჭარე < სპ. بهر 'წილი', 'მოგება', 'შემოსავალი'. ბეჭარე წარმოადგენდა მალუჯათისა და ხარაჯის სინონიმურ შესატყვისს. ეს იყო გადასახადი ნატურით. ვრცლად ბეჭარე || ბაჭარას შესახებ იხ. ი. პეტრუშვილის, დასახლებული შრომა, გვ. 266—67.

[12 თავი.] თუ რეცნაჲს ხალხი, რომელსაც მიწა უჭირავს დაიფანტება, კანონიერი რომ სიფჷჷმ მოიყვანოს და ადგილზე დააბრუნოს. მაგრამ, უკეთუ ათმა წელმა განვლო მას შემდეგ რაც გაიქცნენ და ერთ ადგილზე ცხოვრობენ—[მათი] მოყვანა და ადგილზე დაბრუნება აკრძალულია. რაყიძეთის შვილი რაყიძეთი არის, რადგანაც სხვაზე არ არის მიწერილი. სხვაზე მიწერის შემდეგ კი ისე იქნება, როგორც რეგისტრირდება.

[13 თავი.] არ შეიძლება გარე რაყიძეთს³² ჩამოერთვას მიწა, რომელსაც ის თავის საფუძველზე თლობს და მიეცეს შინაურ რაყიძეთს. დაუშვებელია რომ შინაურ და გარე [რაყიძეთებს] შორის უპირატესობა მიეცეს შინაურ რაყიძეთს.

[14 თავი.] დავთარში რეგისტრირებული მარტოხელა მუსლიმისაგან არაფერი აიღება. თუ მარტოხელა დაცოლშვილდება გადაიხდის ჯაბას გამოსაღებს. უკეთუ ჯაბა ექინლი გახდება. გადაიხდის ექინლის გამოსაღებს და არ გადაიხდის ჯაბას გამოსაღებს. ისინი, რომელნიც რეგისტრირებული არ არიან ჩიფთის მფლობელად და ექნებათ ჩიფთლიგი. გადაიხდიან ჩიფთის გამოსაღებს. გამოსაღების რაოდენობა ჩიფთლიქის ოდენობაზეა დამოკიდებული. უკეთუ ვინმეს ჩიფთლიქზე მეტი მიწა უჭირავს, გადაიხდის ზედმეტი მიწის გამოსაღებს[აც].

[15 თავი.] გარე რაყიძეთს, რომელსაც სიფჷჷმინდან ჩიფთლიქი აქვს აღებული, გადახდება მთელი ჩიფთლიქის გამოსაღები: ვისაც ნახევარი ჩიფთლიქი აქვს

³² გარე რაყიძეთი - რაყიძეთი, რომელიც მოცემული ადგილის დავთარში არის რეგისტრირებული.

نصفدن زياده و اقل اولان يرلردن اكلو
 بناك رسمن الورلر و بو ذكر اولنان داخل
 رعيتدهدر و خارج رعيتده دونم حَقن ويرر
 اكر اعلا ير اولرپ هر يل اكلورسه ايكي
 دونمه بر افچه و اكر ارزل اولورسه اوچ
 دونمه بر افچه النقم قنون قديمدر زيرا
 خاص يرلردن سگسن دونمه و متوسط
 اولان يردن يوز دونمه و ادتي يردن يوز
 اوتوز دونمه بر چتاك اعتبار اولنور دونم
 دخي خطوات متعارفه ايله طولاً و عرضاً
 قرق خطوه يردر

აღებულ მისგან სახეგერო გამო-
 საღები აიღება: ნახევარზე მეტი ან
 ნაკლები მიწის [მულობელისაგან] კი
 აიღება ექინლი ბენნაქის გამო-
 საღები. ეს ხსენებულ შინაურ რაჲიდე-
 თსაც ეხება. გარე რაჲიდეეთი იხდის
 დონუმის გამოსაღებს. ძველი კა-
 ნონია, რომ ერთი ახა აიღონ: ორ
 დონუმზე, თუ მიწა კარგია და ყოველ
 წელიწადს ითესება, 3 დონუმზე, თუ
 მიწა ცუდია. ერთ ჩიფთლიქს შეადგენს
 საუკეთესო მიწების 80 დონუმი, სა-
 შუალო მიწების 100 დონუმი და ცუ-
 დი მიწების 130 დონუმი. დონუმი კი
 სიგრძე სიგანით 40 ჩვეულებრივი ნა-
 ბიჯია.

16 თავი. | ჩიფთის გამოსაღები კი მარტის
 თვეში უნდა აიღონ.

17 თავი. | რაია خارج قراده اكدوكى محصولندن
 سپاهى خرمن حَقى طلب ايدر اوزرينه
 حاصل قيد اولنمادوغى سبیدن رفع
 اولندی نسهلرين الميهلر

17 თავი. | სიტჲჲ სოფლის გარეთ დაიესი-
 ლი მოსავლიდან რეჲჲჲჲ თხოვს კა-
 ლოს გამოსაღებს. რადგანაც მოსავა-
 ლი მასზე არ არის მიწერილი [ეს]
 აკრძალულ იქნა და ვერაფერს მიიღე-
 ბენ.

18 თავი. | و رعايانك ذراعته قابل يرلردن بلا
 عذر اوچ سنه متوالياً بوز قاله تيماره
 ضرر اولدوغى تقديرجه دفع ضرر ايچون
 صاحبك النذن النوب غيرى كمنهيه طبويه
 ويرمك جايزدر اما طاع ويا بر يرامز يرلر
 اولوب وياخود صوبصميوب هر سنه زراعته
 قابل اولمه بوز قاله النوب غيره ويرمك
 ممنوعدر و رعيتك جفتى و طوارى مصلحتى
 ايچون و خرمن يرى ايچون بر قاچ
 دونم ير بوز قيوب مرعى ايدنمك ممنوع
 دكلدر

18 თავი. | უკეთუ რეჲჲჲჲ დასამუშავებლად
 ვარგის მიწას სამი წელი ზღდიზედ
 დატოვებს დაუმუშავებლად, თმზარზე
 ზარალის თავიდან ასაცილებლად და-
 შვეებულაია, რომ მას მიწა ჩამოერთვას
 და თაფუს საფუძველზე გადაეცეს
 სხვას. მაგრამ აკრძალულია ჩამორთ-
 მევა და სხვაზე გადაცემა ისეთი მი-
 წისა, რომელიც მთიანია ან უვარგისი
 ადგილია, ანდა უწყლოა და ყოველ-
 წელიწადს დასამუშავებლად უვარგისი
 და [ამიტომ] რჩება დაუმუშავებლად.
 უკეთუ რაჲიდეეთს ჩიფთის, საქონლი-
 სა და კალოსათვის განკუთვნილი მი-
 წებიდან აუთვისებელი დარჩება რამ-
 დენიმე დონუმი—აკრძალული არ არის
 [დარჩენილის] საძოვრებად გამოყე-
 ნება.

« قنون و قديم »

19] თავი.] ძველთაგანვე აკრძალულია ქალაქელებისა და სოფელელების საქონლისათვის განკუთვნილი საძოვრების დახენა და დამუშავება.
 قرائك طوارلری اوروسى ایچون تعیین اولنان مرعیرینک اکلمهسى و قورونلمهسى ممنوعدر

20] თავი.] კანონისა და შარიათის შესაბამისად ბალიდან და ვენახიდან ბეჭრე უნდა აიღონ. მაგრამ სიფჰან ბალიდან და ვენახიდან ბეჭრეს თავის დროზე არ იღებს და აღებისას რეცნავს ავიწროვებს. იმისათვის რომ რეცნავს შევიწროვება აღკვეთილ იქნას, მკოდნე პირების მართებული შეუთავსებით ბაღებზე და ვენახებზე [მიღებული] წინა გადაწყვეტილება გარდაკვეთით ჩაიწერა.
 و شرعه مطابقر اما رعایانک باغ و باغچهلرینک بهردلرین المقده سباهی تضیق ایدوب موسمنده النمامفن رعایانک دفع مضایقهلری ایچون مقدارنه اهل وقوف تخمین صحیح ایه باغ و باغچهلری بر قرار سابق مقطوع قید اولندی

21] თავი.] დაკანონებულია, რომ რაცხიდე-თებზე ციხის მცველებისა და სიფჰანს ცუშურები ახლო ბაზარზე გაიტანონ; გარედან მოსულმა კი მიწა დაამუშავოს.
 رعیتلر حصار ارثلریلینک و سپاهینک عشرلرین اقرب بازاره ایلتمک و خارجدن کلوب زراعت اتمک قانوندر

22] თავი.] რეცნავს მოსავალზე ცუშურის აღება ლეწვის დროს ხდება. სწავრებმა მაშინვე, დაუყოვნებლივ უნდა არწყყან დამთავრებული ქალო: არ უნდა გადადონ; რეცნავ არ უნდა შეაფროვონ და ცალა არ დაატანონ. თუ [რეცნავ] მოსავლის აღებას ვერ იწყებს მოუტლელობის გამო, ან გულგრილობას იჩენს და სამი დღით გადადებს -- ხარალის თავიდან ასაცილებლად, იმ
 و خرمن وقتنده رعایانک غلاتی تعشیر اولندقدن صکره سالار اولنلر توقف کوسترمک فی الحال حاضر اولان خرمنی تعشیر ایدوب تأخیر اتمیوب رعایای تضیق و تمجیز اتمیهلر و اگر کثرت خدمندن ایرشمیوب یا تعرض و اهمال ایدوب اوج

ს. მ.

21] გა რ და კ ვ ე თ ი თ = არაბ. مقطوع. „Muxata pravilьno – muxatta – Отрезанный, определенный; окончательно утвержденная в определенном размере сумма, которую обяыывались систематически вносить в государственную казну, чтобы приобрести должность или право распоряжаться доходным учреждением“ იბ. А. Д. Папаян, Персидские документы матенадарана, I Указы, წიგნი II, ერევანი, 1959, გვ. 448.

22] აქ ტექსტი ნაკლული ჩანს. შდრ. გურჯისტანია ვილნაჲეთის კანონთა წიგნის № 4 (იბ. დავთარი წიგნი I და II გვ. 2.2) და არზრუმის ვილნაჲეთის კანონთა წიგნის ბარკანისეული გამოცემის № 21 მუხლებს: „ხოლო გარედან მოსულმა მიწის დამმუშავებელმა [მიიტანოს] მის [საფჰანს] სოფელში არსებულ ბეღელში“.

كون تأخير اولمغله ضرر مرتب اولورسه
دفع ضرر ايچون اول قريه نك امامي
و كتحذالري معرفتيله اولچوب بهرسن
الوب صاحبي كلجك تسليم ايله

სოფლის იმპნისა³⁷ და ქეთხუდის³⁸ მეშვეობით აირწყეება კალო და გამოიყოფა ბეჭარე. შემდეგ, როდესაც პატრონი მოვა ჩააბარებენ.

و بر خاصه حفتلكه باغ دكلسه ربع
حاصلى صاحب تيمار كدر

[23 თავი.] თუ სახასო³⁹ ჩიფთლიქზე გამენდება ვენახი, მოსავლის მეოთხედი თიშარის პატრონისაა.

رسم آسياب دفترده قيد اولندوغى
اوزره الوب زياده النيمه

[24 თავი.] წისქვილის გამოსაღები დაუთარში ჩაწერილის თანახმად აიღება. მეტი არ უნდა აიღონ.

[25] فصل قشلاق بر كمنه بر سپاهينك
تيمارنده قيشلاسه و اولو اولسه رسم قشلاق
التي اچه انه مجرد اولوب دوتونى اولسه
رسم دخان اوج اچه انه و قشلايان
كمنه دخى قشلا دوغى يرده زراعت
ايدرسه رسم زمين ويروب رسم قشلاق
ويرميه و قشلاقجى اولان كمنه اوج
سنه يه دك رسم قشلاق ويره زياده اوتوررسه
رسم بناك ويره لر

